საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3930/01
21/04/2021

3930-01-2-202104211411

შპს "ჯონოული 2"-ს
მის: ქ. ცაგერი, თამარ მეფის ქ. 8
ელ. ფოსტა: zurab.samsonidze@geen.eu

თქვენი 2021 წლის 25 მარტის N5240 წერილით წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ცაგერის მუნიციპალიტეტში, შპს "ჯონოული 2"-ის მდ. ჯონოულაზე დაგეგმილი 32.0 მგვტ. სიმძლავრის "ჯონოული 2 ჰესი"-ს ღია გამანაწილებელ ქ/ს-სა და დაგეგმილ 500 კვ ქ/ს „ლაჯანურის" დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჯონოულის" მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2021 წლის 6 იანვარს გაცემული N99 სკოპინგის დასკვნით (ბრძანება N 2-9) მოთხოვნილი შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოდან" მიღებული ინფორმაციის (სააგენტოსთვის მიზანშეუწონელია საპროექტო ეგხ-ს საბადოზე გატარება) საფუძველზე, გზშ-ს მომზადებამდე ჩატარდა ყველა კვლევა, სადაც მითითებული იყო სავარაუდო ანძის განთავსების წერტილები, ამასთან ახალმა მონაკვეთის შერჩევამ გამოიწვია ერთით ნაკლები ანძის განთავსება - კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, ამოღებულიყო №2 ანძა, ამასთან აღნიშნულია, რომ №1 ანძის შემდგომი ანძა იქნება №3 ნუმერაციით. თუმცა გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიურ დანართში მოხსენიებულია N2 ანძა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი ანძების ნუმერაცია შეესაბამება თუ არა გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ნუმერაციას.
- დანართი 2-ში (კულტურული მემკვიდრეობა) „კულტურული მემკვიდრეობის საველე ვიზუალური შესწავლის ანგარიშში" წარმოდგენილი კოორდინატების მიხედვით შესწავლილია სკოპინგის ანგარიშში შერჩეული ეგხ-ის ტრასა და არა გზშ-ის ეტაპზე შერჩეული (კორექტირებული) ტრასა. ამასთან გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ტყეკაფის მასალებში (დანართი 5) წარმოდგენილი N1-N5 ანძებს შორის მონაკვეთზე მერქნული რესურსი აღრიცხულია სკოპინგის ეტაპზე შერჩეული (გზშ-ის ანგარიშის

მიხედვით მე-2 ალტერნატიული ვარიანტი) ეგხ-ის მარშრუტის შესაბამისად და გზშ-ის ეტაპზე შერჩეული (კორექტირებული) ალტერნატივის შესაბამისად.

- გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის shp ფაილები, თუმცა არ არის წარმოდგენილი საყრდენი ანძების განთავსების GIS კოორდინატები (Shp ფაილი).
- გზშ-ის ანგარიშის N 9 თავში „სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებაში“ წარმოდგენილია სამინისტროს 2020 წლის №99 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი ცხრილის სახით, რაც საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე